საქართველოს

თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №95

2023 წლის 18 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეფორმების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 30 ივლისის №66 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ‘‘ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეფორმების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 30 ივლისის №66 ბრძანებაში (ვებგვერდი, 31/07/2020, სარეგისტრაციო კოდი: 120340000.22.026.016808) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების რეფორმების განხორციელების სამმართველო.“.

2. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების რეფორმების განხორციელების სამმართველოს კომპეტენციაა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სისტემის რეფორმირებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **ლელა ჩიქოვანი**